განმარტებითი ბარათი

საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტზე

„საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების – ორდენებისა და მედლების“ დებულებაში დამატებების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ:

ა.ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივით, საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილია „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებისა და ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტი, რომლის თანახმადაც წესდება ახალი სახელმწიფო ჯილდო - მედალი „სამოქალაქო თავდადებისათვის“, რაც საჭიროებს „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების – ორდენებისა და მედლების“ დებულებაში შესაბამისი აუცილებელი დამატებების შეტანას.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მიზანი:

წინამდებარე დადგენილების პროექტის მიღების მიზანია, „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების გათვალისწინებით, „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების – ორდენებისა და მედლების“ დებულებაში აისახოს ახალი სახელმწიფო ჯილდო - მედალი „სამოქალაქო თავდადებისათვის“ და განისაზღვროს იმ პირთა წრე, რომლებიც ჯილდოვდებიან აღნიშნული მედლით.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

დადგენილების პროექტის შესაბამისად, „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების – ორდენებისა და მედლების“ დებულებაში შედის დამატებები, კერძოდ, დებულების პირველ მუხლს ემატება შემდეგი შინაარსის ახალი „ი[1]“ პუნქტი: „ი[1]) მედალი „სამოქალაქო თავდადებისათვის“. ასევე, დებულების მე-2 მუხლს ემატება მე-9[1] პუნქტი, რომლის თანახმადაც მედლით „სამოქალაქო თავდადებისათვის“ ჯილდოვდებიან პირები კონკრეტული სამოქალაქო თავდადებისა და პიროვნული მამაცობის გამოვლენისას.

ბ) დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

დადგენილების პროექტის მიღება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე გავლენას არ მოახდენს.

ბ.გ) დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

დადგენილების პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

დადგენილების პროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება დადგენილების პროექტის მოქმედება:

დადგენილების პროექტის მიღების შემდეგ იმ პირებს, რომელთაც მიენიჭებათ მედალი „სამოქალაქო თავდადებისათვის" გადაეცემათ ერთდროული ფულადი პრემია, რაც გათვალისწინებული იქნება „საქართველოს სახელმწოფო ჯილდოების დაწესების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 პუნქტით.

ბ.ვ) დადგენილების პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

დადგენილების პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

გ) დადგენილების პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს.

გ.ა) დადგენილების პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) დადგენილების პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

დადგენილების პროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ახალი ვალდებულებები. დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) დადგენილების პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

დადგენილების პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) დადგენილების პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს დადგენილების პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) დადგენილების პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება დადგენილების პროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) დადგენილების პროექტის ავტორი

საქართველოს პარლამენტის წევრი ხათუნა გოგორიშვილი.

დ.დ) დადგენილების პროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი ხათუნა გოგორიშვილი.